საქართველოს მთავრობის განკარგულება

№933 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთების ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, რომ ა(ა)იპ - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდს (ს/ნ: 405135786), უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს თავის ბალანსზე რიცხული შემდეგი მოძრავი ნივთები:

ა) 2 (ორი) ცალი პერსონალური კომპიუტერი (lenovo9 e5180) – 2 260 (ორი ათას ორას სამოცი) ლარის ღირებულებით (ერთეულის ფასი - 1 130 (ათას ას ოცდაათი) ლარი);

ბ) 1 (ერთი) ცალი პრინტერ-სკანერი (xeroxs 3210) - 453 (ოთხას ორმოცდაცამეტი) ლარის ღირებულებით.

2. ამ განკარგულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი